



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 254/ს
06/06/2023

254-21-4-202306061534



სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ანაგას ადმინისტრაციული ერთეულის მიმდებარედ, 7,427 ჰა ფართობზე 222 810 მ³ ღორღის ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ანაგას ადმინისტრაციული ერთეულის მიმდებარედ, 7,427 ჰა ფართობზე 222 810 მ³ ღორღის ღია კარიერული წესით მოპოვებაზე სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ანაგას ადმინისტრაციული ერთეულის მიმდებარედ, ზღვის დონიდან 300-370 მეტრის სიმაღლეზე და წარმოდგენილია ორ უბნად (I უბანი - 24 900 მ² და II უბანი - 49 370 მ²). წიაღისეულის მოპოვების ობიექტის GPS კოორდინატებია: I უბანი - X-577275.00, Y-4612667.000; X-577414.000, Y-4612522.000; X-577296.000, Y-4612410.000; X-577213.650, Y-4612602.862; II უბანი - X-577537, Y-4612173; X-577361, Y-4612390; X-577483, Y-4612507; X-577483, Y-4612301. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ სალიცენზიო ობიექტიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფ. ანაგა, დაშორებულია დაახლოებით 960 მეტრით, ხოლო დაახლოებით 200 მეტრში ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი - ეკლესია. საპროექტო ტერიტორიას, კერძოდ, II სალიცენზიო უბანს კვეთს გრუნტის გზა, ხოლო I უბნიდან აღნიშნული გზა დაშორებულია დაახლოებით 10 მეტრით. I სალიცენზიო უბნიდან დაახლოებით 30 მეტრში ფიქსირდება მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზები.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მორფოლოგიური თვალსაზრისით, წიაღისეულის მოპოვების ობიექტი მდებარეობს მდ. ალაზნის მარჯვენა, I ჭალისზედა ტერასაზე, ჩრდილო-აღმოსავლური ექსპოზიციის 3-5⁰-იანი დახრილობის ფერდობზე. ტერიტორია დაფარულია თიხნარის (0.1-0.2მ) ფენით და მეჩხერი ბუჩქნარით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. გეოლოგიური თვალსაზრისით რაიონი აგებულია მესამეული და მეოთხეული ასაკის ალუვიურ-დელუვიური და სელური ნალექებით - ღორღით, კენჭნარით, ხრეშით, ქვიშითა და თიხებით. ტექტონიკური დარაიონების მიხედვით, საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება ამიერკავკასიის მთათაშუა არეს, აღმოსავლეთ

მოლასური დაძირვის ზონას, გარე კახეთის მოლასურ ქვეზონას. სალიცენზიო ობიექტისა და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა სტაბილურია.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების ჰიდროლოგიური და სამთო-ტექნიკური პირობები დამაკმაყოფილებელია. საპროექტო ტერიტორიაზე სამიუბო სამუშაოები და დასინჯვა ჩატარებული არ არის, ასევე, არ განხორციელებულა ლაბორატორიული, ტექნოლოგიური ჰიგიენურ-რადიაციული კვლევები. სალიცენზიო ობიექტზე არსებული მადნიანი სხეულის საშუალო სიმძლავრე შეადგენს 3 მ-ს. მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი შრისმაგვარი, ფენობრივია. წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლები, მარაგებისა და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით ($A+B+C_1+C_2$ და P) წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით და I უბანზე შეადგენს 74 700 მ³-ს, ხოლო II უბანზე - 148 110 მ³-ს (საერთო მარაგი 222 810 მ³). თანმდევი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები სალიცენზიო ობიექტზე არ ფიქსირდება.

სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლები, კერძოდ, ნარჩენების წარმოქმნა, ხმაური/ვიბრაცია, ატმოსფერულ ჰაერზე, ნიადაგზე, გრუნტის წყლებზე მოსალოდნელი ზემოქმედება, რაც საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას. ღორღის ღია კარიერული წესით მოპოვება-დამუშავებისას, საქმიანობის სპეციფიკიდან და მოპოვების მეთოდიდან გამომდინარე, მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება, კერძოდ, არაორგანული მტვრის გაფრქვევა, რასაც ადგილი ექნება, როგორც მოპოვებითი სამუშაოების წარმოების პროცესში, ასევე, ნედლეულის ტრანსპორტირებისას. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების დროს, ასევე, ადგილი ექნება ხმაურის წარმოქმნას და გავრცელებას. გარდა ამისა, სხვადასხვა დანადგარების მუშაობისას, მოპოვებით სამუშაოებს თან ახლავს ვიბრაცია. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის განხილული არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების საკითხი, ასევე, არ არის მოცემული ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გამოწვეული შესაძლო რისკებისა და საფრთხეების შესახებ. სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით - წყლის, ნიადაგის, მიწის) გამოყენების საკითხები, არ არის შეფასებული დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ტერიტორიის დიდი ნაწილი ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის - ეკლესიის ვიზუალური დაცვის არეალში (ძეგლიდან 200 მეტრში), შესაბამისად, მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის მიმართ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი. აღნიშნული კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას. შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით უნდა მოხდეს, კარიერის

მოსაპოვებლად გამოყოფილი სალიცენზიო ტერიტორიის საზღვრების ძეგლიდან არანაკლებ 400 მეტრის დაშორებით გადაწევა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაეგზავნა სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.


სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობის და მოპოვების მეთოდის (ღია კარიერული) გათვალისწინებით, გამოიწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გარემოზე, რაც საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტში, ანაგას ადმინისტრაციული ერთეულის მიმდებარედ, 7,427 ჰა ფართობზე 222 810 მ³ ღორღის ღია კარიერული წესით მოპოვება **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და სიღნაღის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო თანდილაშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

